

შპს „იარდი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წწ.

ქ.თბილისი

01.09.2022 წელი

შინაარსი:

1. პასუხისმგებლობა და ხელშეწყობის ანგარიში --- 2
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება --- 3
3. სრული შემოსავლის ანგარიშგება --- 4
4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -5
5. ზოგადი ინფორმაცია -- 7
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა -- 6
7. ძირითადი საშუალებები----- 6
8. მარაგები----- 7
9. ფული და ფულადი ეკვივალენტები -- 7
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -- 7
11. ამონაგების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება --- 7
12. იჯარა -----8
13. დაბეგვრა - 8
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები -- 8



ხელმძღვანელობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შემოწმებული პერიოდი მოიცავს 2021 წლის 1 იანვრიდან, 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია შპს „იარდი“-ს მთავარი ბუღალტრის ალისა ვაშაქიძის მიერ და სამართლიანად ასახავს შპს „იარდი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას“; ასევე „სრული შემოსავლის ანგარიშგებას“ და „ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას“; ასევე, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე, შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობის რწმენით უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის, ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევა/დანერგვას და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2022 წლის 1 სექტემბრისთვის


დირექტორი

გელა გოგიაშვილი

1 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო




ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	910732	224650	268389
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	307544	334342	283686
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	490590	245391	212823
მარაგები	915386	1223766	1050068
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	915386	1223766	1050068
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	109038	52598	30111
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2733290	2080747	1845077
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	22455	0
სავაჭრო ვალდებულებები	25074	0	0
ანაჩივები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	1533	12562	12640
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	216832	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	27213	0	118939
სულ ვალდებულებები	270652	35017	131579
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2462638	2045730	1713498
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2462638	2045730	1713498
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2733290	2080747	1845077
სულ მოკლევადიანი აქტივები	2630934	2028149	1814966
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	59020	35017	131579



სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	31/12/2021	31/12/2020
საქმიანობის შედეგები	2547520	1835675
ნეტო ამონაგები	2547520	1796444
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	39231
სხვა	-1772011	-1245745
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების მესყიდვა	0	0
გადაშუქების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	775509	589930
საერთო მოგება	625	0
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-225641	-171049
დასაქმებულთა ანაზღაურება	-6003	-8513
ივთა / ამორტიზაციის ხარჯი	7797	120
საპროდუქტო შემოსავალი	-1649	0
საპროდუქტო ხარჯი	-53247	0
იჯარის ხარჯი	-27535	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-305653	-179442
სულ საოპერაციო ხარჯები	469856	410488
საოპერაციო მოგება		
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	-31619	0
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	8568	-78256
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	446805	332232
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯაზღუდვანგრობილითი თვერადებიდან	0	0
მოგების გადასახადის ხარჯი	446805	332232
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / (ზარალი)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	0	0
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ურთობლივი და შეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელოიანი პროცენტები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	446805	332232
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2045730	1713498
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	-29897	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	2462638	2045730
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		



ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	552700	2069737
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-79075	-2113476
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	219100	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	692725	-43739
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-6643	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	224650	268389
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	910732	224650



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იარდი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2009 წლის 12 ივნისს. შპს „სეიფთი“-ის სახელით, აქტიური საქმიანობა დაიწყო იმავე პერიოდში, კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მეორადი ავტოსატრანსპორტო ნაწილების იმპორტი / რეალიზაცია და ავტოტექნომსახურება.

კომპანიის დამფუძნებლები 2009 წელს იყვნენ ზურაბ ნასყიდაშვილი და ზვიად მაძისაშვილი. (50/50). კომპანიამ რამდენჯერმე მოახდინა სამეწარმეო რეესტრში ცვლილება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან ირაკლი ყამბარაშვილი --25 % და გელა გოგიაშვილი --75%.

დირექტორი: გელა გოგიაშვილი

კომპანიის იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ქინძმარაულის ქ. 7.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიას იმპორტის საშუალებით (ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა -- ინგლისი) შემოაქვს მეორადი ავტოსატრანსპორტო ნაწილები. ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაცია ხდება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე, კომპანიის მიერ იჯარით აღებული ფილიალების მისამართებზე: ქ.თბილისი, ქინძმარაულის ქ.7 და ისაკიანის 55. კომპანიას ასევე იჯარით აღებული აქვს სასაწყობო ფართი საგარეოში, სოფ.ბადიაურში.

დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა 2021 წლისთვის შეადგენს 20 თანამშრომელს. თანამშრომლთა უსაფრთხოებისათვის კომპანიას ჰყავს სერთიფიცირებული უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ატარებს შესაბამის ინსტრუქტაჟს.

კომპანია ორიენტირებულია აღმოფხვრას ყველა ხარვეზი, რაც გამოიწვევს საქმიანობის შეფერხებას. პანდემიით გამოწვეულ სირთულეებს შენეგემენტმა ადვილად გაართვა თავი და შეიმუშავა სრულყოფილი სამოქმედო გეგმა.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში სადაც ფუნქციონირებს კომპანია -- ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსით, წლის ბოლოსთვის. დოლარი - 3,0976; ევრო -- 3,504; ფუნტი -- 4,1737

კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს ნასყიდობის დანახარჯს და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება დირექტორატის მიერ და არ იცვლება მთელი მომსახურების პერიოდზე. ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გ. გოგიაშვილი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივების წარჩენი ღირებულების და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება. სასარგებლო ვადის ამოწურვის შემდგომ ხდება ძირითადი საშუალების ლიკვიდაცია და ჩამოწერა, შემთხვევა დასტურდება შესაბამისი აქტებით.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში, ან თუ არ არის სარგებლის მიღება შესაძლებელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა, ან ზარალი, აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ძირითადი საშუალებები ძირითადად წარმოდგენილია, საოფისე ავეჯის და ინვენტარის, სატრანსპორტო საშუალებების და დანადგარებისაგან. პერიოდულად, ძირითად საშუალებებზე ჩატარებული იქნა სარემონტო სამუშაოები და გახარჯული იქნა მარაგები, რაც არ წარმოადგენდა კაპიტალურ რემონტს და მიეკუთვნა პერიოდის რემონტის დანახარჯებს.

4. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო თანხას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს წასყიდობის ფასს და იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება მარაგებზე სარემონტო სამუშაოს განხორციელება, რაც ზრდის შესაბამისად მარაგის თვითღირებულებას. (შედგენლია შესაბამისი აქტები). კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გადასაყიდად განკუთვნილ სასაქონლო მატერიალურ მარაგებს, კერძოდ, მეორად ავტოსატანადარიგო ნაწილებს. მისი ძირითადი ნაწილი მიიღება იმპორტის გზით. საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, საქონლის განზაფება ხდება წონის გათვალისწინებით, მომწოდებლის მიერ მოწოდებულია როგორც მთავარი ინვოისი, ასევე ინვოისების დანართი, სადაც იდენტიფიცირებულია საქონელი, რაოდენობითა და ღირებულებით. ასევე, მეორადი ავტოსატანადარიგო ნაწილებზე ხდება დაშლის პროცედურა, რის შედეგადაც მიიღება ახალი სასაქონლო მატერიალური მარაგები, ხოლო განფასება ხდება დირექტორატის გადაწყვეტილებით. საქონლის დაშლა, რემონტი, ჩამოწერა, ჯართად აღიარება და სხვა მსგავსი პროცედურები დასაბუთებულია შესაბამისი აქტებით. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით. ფასნამატი განსხვავებულია ყველა სასაქონლო მარაგისათვის, ისევ სპეციფიკიდან გამომდინარე. გაყიდვები დასაბუთებულია სასაქონლო ზედნადებებით.

5. ფული და ფულადი ეკვივალენტები

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფულის მოძრაობა დასტურდება შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციით.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობიდან მისაღები თანხები, რომელიც აისახება ნეტო ღირებულებით (კლიენტისაგან მისაღები თანხით)

7. ამონაგების შემოსავლების და ხარჯების აღიარება

კომპანიისათვის ძირითადი შემოსავალი მიიღება საქონლის რეალიზაციიდან. ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს.

ფინანსურ აღრიცხვაში შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, ხოლო საგადასახადო აღრიცხვისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად. ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას კომპანიას აქვს როგორც საოპერაციო, ასევე არასაოპერაციო ხარჯები.

8. იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე — იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ იჯარად და საიჯარო გადასახდელი, ხელშეკრულების საფუძველზე, აღიარდება პერიოდის ხარჯად.
კომპანია, როგორც მეიჯარე — კომპანიას, ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში პერიოდულად, გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივები, ხელშეკრულების საფუძველზე, საიჯარო შემოსავალი აღიარდება „სხვა შემოსავლების“ მუხლში.

9. დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადისაგან. პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული მოგების გადასახადის თანხებით, რომელიც წარმოიშობა საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის სხვაობით. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომელიც წარმოდგენილია „სხვა საგადასახადო ხარჯების“ და ხელფასების“ მუხლში.

10. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო მოვლენები რომლებიც არ ცვლის ფინანსურ მდომარებას, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება შენიშვნის სახით. 2022 წელს განსაკუთრებულ მოვლენას, რომელიც გავლენას მოახდენდა 2021 წლის ანგარიშგებაზე, ადგილი არ ჰქონია.